პროექტი

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №29, 12.10.2009, მუხ. 159) 48–ე მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 3^1 პუნქტი:

„3^1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა ეროვნული ბანკი აგრეთვე უფლებამოსილია პირს უარი განუცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტად რეგისტრაციის ან ლიცენზირების თაობაზე, თუ:

ა)პირის რეგისტრაციამ ან მასზე ლიცენზიის გაცემამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველს საფინანსო სექტორის სტაბილურობას;

ბ)პირის რეგისტრაციამ ან მასზე ლიცენზიის გაცემამ შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ორგანიზაციების სავალდებულო გადაწყვეტილებებით ან/და რეკომენდაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა;

გ) პირის რეგისტრაციამ ან მასზე ლიცენზიის გაცემამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის გაფორმებული შეთანხმებების დარღვევა;

დ) ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა არ წარმოადგინა სრულყოფილი ინფორმაცია სუბიექტის საქმიანობის დაწყებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კაპიტალური მოთხოვნების შესრულებისათვის საჭირო თანხების წარმომავლობის შესახებ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*